საქართველოს მთავრობის

დადგენილება №28

2026 წლის 23 იანვარი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის №654 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის №654 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2025, 040170020.10.003.025548) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განისაზღვროს შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (ერთჯერადად შესყიდვის ღირებულება აჭარბებს CPV კოდს) მიხედვით კლასიფიკატორის კოდები და მონეტარული ზღვრები, რომელთა ფარგლებში, „პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №646 დადგენილებით განსაზღვრული პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების, მათ დაქვემდებარებაში მყოფი/კონტროლირებადი დაწესებულებების/საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წინასწარ თანხმობას, წესის (დანართი №2) შესაბამისად.“.

2. დანართ №2-ის:

ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1**. შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (ერთჯერადად შესყიდვის ღირებულება აჭარბებს CPV კოდს) მიხედვით, კლასიფიკატორის კოდებისა და მონეტარული ზღვრების (ცხრილი №2) ფარგლებში, „პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №646 დადგენილებით განსაზღვრული პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების (გარდა დანართ №2-ის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისა), მათ დაქვემდებარებაში მყოფი/ კონტროლირებადი დაწესებულებების/საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ (გარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა) ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) წინასწარ თანხმობას.“;

ბ) ცხრილი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**ცხრილი №2**

CPV კოდები შესაბამისი მონეტარული ზღვრებით

CPV კოდი	მონეტარული ზღვარი (ლარი)
32400000	20 000
32500000	10 000
48100000	10 000
48200000	50 000
48300000	10 000
48400000	10 000
48500000	10 000
48600000	10 000
48700000	20 000
48800000	10 000
48900000	10 000
72100000	10 000
72200000	10 000
72300000	10 000
72500000	20 000
72600000	20 000
72700000	20 000.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**